ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4051344

ნომერი: AR1606838

თარიღი : 07.06.2018

გაცემის თარიღი : 04.07.2018

გაცნობის თარიღი : 04.07.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , პეტრე ქავთარაძის ქუჩა N5;

დამკვეთი-განმცხადებელი
- შოთა გვანცელაძე პ/ნ 01009004474
- თბილისი პ.ქავთარაძის ქ. N 25 კორ. 1 ბ. 58

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 26 სექტემბრის №3568829 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 7

ივნისს №AR1606838 განცხადებით მომართეს შოთა გვანცელაძემ, ალირეზა ყეზელარსალანიმ და ციცინო ახობაძემ. განმცხადებლება მოითხოვეს ამავე სამსახურის 2017 წლის 26 სექტემბრის №3568829 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 26 სექტემბრის №3568829 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ: №01.14.03.038.023), მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, ხოლო 2017 წლის 10 ოქტომბრის № 3625227 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 19 ოქტომბრიდან 2017 წლის 19 დეკემბრის ჩათვლით.
2017 წლის 13 დეკემბრის №3733351 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 26 სექტემბრის №3568829 ბრძანებაში, კერძოდ: საზაფხულო ფართობად დაფიქსირდა 1003.6 კვ.მ, საერთო ფართობად 7220.2 კვ.მ.
განმცხადებლების განმარტებით, 2017 წლის 26 სექტემბრის №3568829 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში უნდა დაფიქსირდეს შემდეგი მაჩვენებლები: საერთო ფართობი: 7220.2 კვ.მ-ის ნაცვლად - 7182.3 კვ.მ, საოფისე ფართობი: 802.8 კვ.მ-ის ნაცვლად 773.0 კვ.მ, კომერციული ფართობი: 557.8 კვ.მ-ის ნაცვლად 549.7 კვ.მ, ასევე მოთხოვნილია -3.00; 0.00; +3.00; +6.00 და +9.30 ნიშნულების გეგმების ჩანაცვლება.

სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შესაბამისობაშია სამსახურის 2017 წლის 26 სექტემბრის №3568829 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 26 სექტემბრის №3568829 ბრძანებაში და ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი: 7182.3 კვ.მ, საოფისე ფართობი: 773.0 კვ.მ, კომერციული ფართობი: 549.7 კვ.მ, ასევე -3.00; 0.00; +3.00; +6.00 და +9.30 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით. სამსახურის 2017 წლის 26 სექტემბრის №3568829 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 26 სექტემბრის №3568829 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.